სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №02-02/100

ქ. ბათუმი 29 აგვისტო, 2017 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მინისტრის ლაშა კომახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მინდობილი პირის სოფიო ფირცხალავას (პ/ნ 01008028640 თანახმად 05.04.2017 წლის მინდობილობისა (ინდ.42311498084915, რეგ. N 170354649)) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON160000057) სატენდერო დოკუმენტაციის 5.15. ქვეპუნქტისა და სატენდერო კომისიის 2017 წლის 25 აგვისტოს N 9144 ნებართვის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სახლმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვლისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 . „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2 . „ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 . „დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 . „შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 . „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 . „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 . კლასიფიკატორი – CPV დანაყოფი-09100000, კოდი - 09132100, არაეთილირებული ბენზინი.

2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტია 400 (ოთხასი) ლიტრი ბენზინი პრემიუმი (ოქტანობა არანაკლებ 95) (შემდგომში „საქონელი") შესყიდვა.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს.

4.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 864,00 (რვაას სამოცდაოთხი) ლარს.

4.2. 1 (ერთი) ლიტრი ბენზინი პრემიუმის ფასია 2.16 (ორი ლარი და 16 თეთრი) ლარი.

4.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დ.ღ.გ.-ს, აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

5.ანგარიშწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერისა და სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

6.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (სამეურნეო-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი) გენადი გობაძე (პ/ნ 61002010276).

7. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1 . საწვავის მოწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონური სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით. საწვავის ტალონების მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ. ბათუმი, გამსახურდიას N1.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) მოთხოვნიდან 2 (ორი) დღეში დაუმზადოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს (სამეურნეო განყოფილების უფროსი გენადი გობაძე) ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობის საწვავის ტალონები (10, 20 ან 50 ლიტრიანი ტალონის ნომინალით). ტალონის გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან უკვე გაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ყოველ ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს: მიმწოდებლის ლოგო წარწერით „სოკარი", ტალონის ნომერი, საწვავის სახეობა, საწვავის რაოდენობა.

7.3. შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და საწვავის გაცემა.

7.4. ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

7.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

7.6. საწვავის ტალონების მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.1.1.შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.1.2. უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

8.2.შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.2.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

8.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2 ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი პირი - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (სამეურნეო-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი) გენადი გობაძე.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

10.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან საწვავის ყოველი მიწოდების თაობაზე მოთხოვნის (წერილობითი ან/და ზეპირი) მიღებისას, მხარეები ვალდებულნი არიან მიმწოდებლის მიერ საწვავის მოთხოვნის მიღების დღისათვის არსებული მონაცემების გამოყენებით მოახდინონ ფასების გადაანგარიშება, ამ მუხლით განსაზღვრული წესით და ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების ცვლილების შემთხვევაში მხარეებმა წერილობითი შეთანხმებით გააფორმონ ახალი ფასები.

თუ ამ საფუძველს არ ექნება ადგილი, ძალაში დარჩება მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული ფასი. ფასი ძალაში დარჩება გადაანგარიშებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადით. თუკი შემსყიდველი აღნიშნულ ვადაში არ მოახდენს საწვავის შესყიდვას,

გადაანგარიშებული ფასები კარგავს ძალას და შემსყიდველი ვალდებული იქნება ხელახლა წარმოუდგინოს მიმწოდებელს საწვავის მოთხოვნის შესახებ განაცხადი.

11.2. ფასის შესაძლო ცვლილების შესახებ მეორე მხარის გაფრთხილება ან რაიმე სახის შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით (საწვავის შეძენის ვადა – 2017 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით).

შემსყიდველი	მიმწოდებელი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მის: ქ.ბათუმი მ.კომახიძის ქუჩა N119 ს/კ :245428265 ლაშა კომახიძე მინისტრი	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ მის: ქ.თბილისი, ჩოლოყაშვილის 1 ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი 300 არაგველის ქ. 24 საიდენტიფიკაცო კოდი: 202352514 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600 ტელ: 249 97 57 სოფიო ფირცხალავა მენეჯერი პირი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

29.08.2017

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ვადასტურებ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საწვავის სახელმწიფო შესყიდვისთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მინისტრი: _____ ლ. კომახიძე

ხელშეკრულების შესრულების
კონტროლის განმახორციელებელი,
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი
(სამეურნეო-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი პირი): _____ გ. გობაძე